საზოგადოება და ბანკები
SOCIETY AND BANKS

კომერციული ბანკების დაგროვების და ბონუს პროგრამები

www.sab.ge

კომერციული ბანკების დაგროვების და ბონუს პროგრამები

საბანკო მომსახურების ხელმისაწვდომობასთან ერთად, მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საბანკო ბარათების მოცულობა და ბარათებით განხორციელებული ტრანზაქციების რაოდენობა. ბოლო რამდენიმე წელია ელექტრონული საგადამხდელო სერვისები საგრძნობლად განვითარდა. გამძაფრებული კონკურენციის ფონზე, საბანკო სექტორი ელექტრონული მომსახურების დახვეწას დიდ ყურადღებას უთმობს.

მომსახურების ავტომატიზება, საბანკო სექტორის ადმინისტრაციულ დანახარჯს საგრძნობლად ამცირებს, შესაბამისად ინტერესის გასაზრდელად ბანკები არაერთ კამპანიას და აქციას მართავენ. პროცესის წახალისების მიზნით მომხმარებლებს დაზოგვის სხვადასხვა სისტემას სთავაზობენ, იქნება ეს ფულადი პრემია(ქეშბექი), ვირტუალური ქულები თუ ხელუხლებელ ნაშთზე დარიცხული სარგებელი.

დღეს ყველა მსხვილ ბანკს აქვს თავისი ბონუს პროგრამა, რომელიც განკუთვნილია ბანკის აქტიური ანგარიშის მფლობელი ფიზიკური პირებისთვის. პროგრამაში ჩასართავად, ძირითადად, საჭიროა ბანკის ნებისმიერ ფილიალში მომსახურების გააქტიურება. ამის შემდეგ, საბანკო პროდუქტებით ან მომსახურებით სარგებლობისას კლიენტი იწყებს ქულების დაგროვებას. თითოეულ შესრულებულ ოპერაციაზე ირიცხება ვირტუალური ქულა, რომელიც შეესაბამება ბანკის მიერვე განსაზღვრულ სარგებელს და დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი ბანკის Pos ტერმინალით შესრულდა ტრანზაქცია. ძირითად შემთხვევებში ბანკომატიდან თანხის განაღდებაზე ბონუს ქულები არ ერიცხება. ვირტუალურ ანგარიშზე დაგროვილი ქულების გამოყენება შესაძლებელია სხვადასხვა მომსახურებაზე გაცვლით: ნივთზე, ვაუჩერზე, კომუნალურ გადასახადებზე ან საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულ ნაღდ ფულზე. ანგარიშის დახურვისას, დაგროვილი ქულები ავტომატურად ნულდება და ბანკთან თანამშრომლობის განახლების შემთხვევაშიც არ ექვემდებარება აღდგენას.

მაგალითისთვის: საქართველოს ბანკი მომხმარებლებს სთავაზობს პლუს მომსახურებას, რომელიც ხუთ კატეგორიად არის დაყოფილი. სტატუსს განსაზღვრავს ის, თუ რამდენად დატვირთულია კლიენტი საბანკო პროდუქტებით. რაც უფრო მაღალია პლუს მომხმარებელზე მინიჭებული სტატუსი, მით მეტი პლუს ქულა ერიცხება მას თითოეულ ტრანზაქციაზე, ასევე საბანკო და არასაბანკო პროდუქტების ღირებულება მათთვის სტანდარტულისგან განსხვავებულია. არსებობს რეკომენდაციის სისტემა, კატეგორიის მიხედვით პროგრამაში ჩართულ ახალ კლიენტზე რეკომენდატორი დამატებითი ქულებით საჩუქრდება. საქართველოს ბანკში თითოეულ დახარჯულ ლარზე დარიცხული პლიუსი 1-დან 2 ქულამდე ფასდება და მათი მესამე პირზე ჩუქება დაშვებულია.

საქართველოს ბანკი მომხმარებლებს American Express-ის ტიპის საკრედიტო ბარათებსაც სთავაზობს. Amex-ის უპირატესობა არის ის, რომ საერთაშორისო ტიპის ბარათია. Selects-ის პროგრამის ფარგლებში, როგორც საქართველოში ასევე მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში მომხმარებელი ვაჭრობის თუ მომსახურების მიღებისას რიგი ფასდაკლებით სარგებლობს და პარალელურად MR ქულებს აგროვებს. Membership Rewards-ის პროგრამაში ჩართვისთანავე მომხმარებელს ერთჯერადი წახალისების მიზნით 1000 MR ქულა, ხოლო დახარჯული თითოეულ ლარზე 0.50-დან 1.50-მდე ქულა ერიცხებათ. ბარათი რამდენიმე კატეგორიად არის დაყოფილი, საკრედიტო ტიპის ბარათი გამოირჩევა იმით, რომ დამატებით cashback-ის პროგრამა აქვს, რაც მომხმარებელს გახარჯული თანხის 0.5%-დან 3%-მდე დაბრუნების საშუალებას აძლევს. საკრედიტო ბარათის ფლობა ფასიანია და წლიურად ბარათის ტიპიდან გამომდინარე მისი ფასი 25-იდან 180 ლარამდეა.

თიბისი ბანკს ლოიალობის პროგრამა „ერთგული“ აქვს. ქულები Pos ტერმინალზე საკრედიტო ბარათით შესრულებული ტრანზაქციის დროს ირიცხება და გადახდილი თანხის პროცენტს შეადგენს. ქულების მოცულობა ბარათის ტიპზეა დამოკიდებული და ის 0.5%-დან 1%-მდე მერყეობს. „ერთგული“ ქულების განაღდება შემდეგი ფორმულით ხდება - ერთი ქულა 1 ლარს უდრის. აქცია „გამარჯობა“-ს ფარგლებში, ახალი ბარათით შესრულებულ პირველ ოპერაციაზე, სტანდარტულზე მეტი ქულა ირიცხება. სტანდარტული ერთგული ქულების გამოყენება დარიცხვიდან 2 წლის განმავლობაშია შესაძლებელი, „გამარჯობა“ ქულის განაღდება კი, სამი თვის

ვადით შემოიფარგლება. თიბისი ბანკის ქულების განაღდება, ნაღდ ფულზე გაცვლით არაა დაშვებული, მხოლოდ პარტნიორ სავაჭრო ობიექტების პროდუქცია/მომსახურებაზე გაცვლით ხდება. ერთგული საკრედიტო ბარათია და მისი ფლობა ფასიანია. საკომისიო წლიურად ბარათის ტიპზეა დამოკიდებული და ის 40-დან 120 ლარამდეა.

ლიბერთი ბანკს აქვს კლუბი, რომლის წევრია ბანკის ყველა ფიზიკური პირი. მომხმარებლების კლასიფიკაცია ბარათის ტიპის მიხედვით არ ხდება და ნებისმიერი ბარათით შესრულებული ტრანზაქცია თანაბრად 10-დან 100 LB ქულამდე ფასდება. ლიბერთი ბანკი, სხვა ბანკებისგან განსხვავებით, უნაღდო ანგარიშსწორების წახალისების მიზნით, სხვა ბანკის Pos ტერმინალით შესრულებულ ოპერაციაზეც რიცხავს მცირე მოცულობის LB ქულებს. ფორმულის მიხედვით 297 ქულა 1 ლარის ტოლია.

ვითიბი ბანკში, ბონუს ქულა მინიმუმ 50 ლარიან ტრანზაქციაზე ირიცხება, რაც დაახლოებით 13 ქულითაა შეფასებული. ფორმულის მიხედვით ვითიბის 100 ბონუს ქულა, 1 ლარს უდრის და მისი გაცვლა სხვადასხვა მომსახურებაზეა შესაძლებელი, მათ შორის ნაღდ ფულზე.

საქართველოში უნაღდო ანგარიშსწორებით შესრულებული ოპერაციების რაოდენობა დღითიდღე იზრდება. საწყის ეტაპზე ლოიალობის პროგრამები საკმაოდ წარმატებულად მუშაობს, რასაც კომერციული საბანკო სექტორი ეფექტურად და სწორად იყენებს. ეს კამპანიები ბანკებისთვის ახალი კლიენტურის მოზიდვის საუკეთესო საშუალებაა, მომსახურების სწორად გამოყენება კი, მომხმარებლებს დამატებითი ფინანსური სარგებლის მიღების საშუალებას აძლევს.

www.sab.ge